F-17
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1981

ოქტომბერი № 10 ОКТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

ТБИЛИСИ
1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 2/IX 1981 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII 81 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქეღალდის ზომა 60×84;; ნაბეჭდი თაბახი 4.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,25

შეკვ. №844 უე 15176 ტირაჟი 6 000

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-7864

ПОСТАНОВЛЕНИЕ

КОЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ЛЕСНОЙ И ДЕРЕВООБРАБАТЫВАЮЩЕЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГССР, МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР И ПРЕЗИДИУМА РК ПРОФСОЮЗА РАБОЧИХ ЛЕСНОЙ, БУМАЖНОЙ И ДЕРЕВООБРАБАТЫВАЮЩЕЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

О ходе работы по выполнению постановления коллегии Министерства лесной и деревообрабатывающей промышленности ГССР, Министерства просвещения ГССР и Президиума РК профсоюза рабочих лесной, бумажной и деревообрабатывающей промышленности «О мерах по повышению общеобразовательного уровня молодежи, работающей на предприятиях и в организациях Минлеспрома ГССР № 28—617 от 23 сентября 1977 года»

1 сентября 1981 года

Во исполнение постановления коллегии Министерства лесной и деревообрабатывающей промышленности ГССР, Министерства просвещения ГССР и Президиума РК профсоюза рабочих лесной, бумажной и деревообрабатывающей промышленности № 28-617 от 23 сентября 1977 года «О мерах по повышению общеобразовательного уровня молодежи работающей на предприятиях и в организациях Минлеспрома ГССР» Министерством лесной и деревообрабатывающей промышленности и Грузинским Республиканским Комитетом профсоюза рабочих лесной, бумажной и деревообрабатывающей промышленности произведен анализ состояния работ по завершению перехода на всеобщее среднее образование молодежи организаций и предприятий Минлеспрома ГССР, не имеющей среднего образования.

В настоящее время в организациях и на предприятиях Минлеспрома ГССР из 2981 занятых в отрасли молодых тружеников 2127 чел. или 71,3% имеют среднее образование.

Определенные положительные результаты в постановке общеобразовательного обучения молодых рабочих и служащих достигнуты на Тбилисском ДОКе, Кутаисском мебельном комбинате, Тбилисской мебельной фабрике № 3, Тбилисской экспериментальной фабрике, Цхинвальском ДК и Ахалдабской МФ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა-

На этих предприятиях нет работников, не имеющих среднего образования.

Снизился процент не имеющих среднего образования в 1981 году по сравнению с 1980 годом в Специализированном строительно-монтажном управлении с 26,3% до 10,5%, на Тбилисском зеркально-механическом комбинате с 14,0% до 8,7%, Батумской мебельно-бамбуковой фабрике с 9,5% до 1,3%, Тбилисском комбинате гнутой мебели с 11,3% до 4,7%, ТПМО «Гантиади» с 20% до 1,6%, Батумском ДОКе с 4,0% до 2,0%, Самтредском ДОКе 2,0% до 0,6%.

Вместе с тем в работе по повышению общеобразовательного уровня молодых тружеников имеются и серьезные недостатки. Неблагополучно обстоит дело с вовлечением работающей молодежи в вечерние (сменные) и заочные общеобразовательные школы, например в Ахметском ЛК и Бабушерском ДОКе, где повысился процент, не имеющих среднего образования.

Руководители организаций и предприятий и соответствующие комитеты профсоюза не уделяют достаточного внимания вопросам вовлечения молодых тружеников, не имеющих среднего образования, в вечерние общеобразовательные школы.

В целях улучшения работы по дальнейшему развитию и совершенствованию вечернего и заочного общего среднего образования молодежи коллегия Минлеспрома ГССР, Министерства просвещения ГССР и Президиум РК профсоюза рабочих лесной, бумажной и деревообрабатывающей промышленности

ПОСТАНОВЛЯЮТ:

1. Руководителям организаций Минлеспрома ГССР и представлителям ФЗМК профсоюза рабочих:

1. 1. Разработать перспективные планы повышения общеобразовательного уровня работающей молодежи на 1981—1985 годы согласно прилагаемой формы.

Разработку указанного плана производить с учетом полного вовлечения молодых тружеников, не имеющих среднего образования, в вечерние и заочние общеобразовательные школы.

1. 2. Копии утвержденных планов направить в Управление кадров Отдела труда и зарплаты до 15 ноября 1981 года.

1. 3. Усилить контроль за представлением руководителями организаций льгот, предусмотренных законодательством о труде для молодежи, совмещающей работу с обучением в вечерних и заочных общеобразователных школах.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 4. Улучшить культурно-бытовые и жилищные условия молодежи, обучающейся без отрыва от производства.

1. 5. Шире практиковать шефство наставников над молодыми рабочими, сочетающими учебу с производственным трудом.

2. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим Юго-Осетинским областным, городскими и районными отделами народного образования:

2. 1. Принять меры по расширению сети вечерних и заочных школ и их филиалов, учебно-консультационных пунктов в организациях Минлеспрома ГССР и максимальному вовлечению в них молодых тружеников, не имеющих среднего образования.

2. 2. Укрепить учебно-материальную базу вечерних и заочных общеобразовательных школ и их филиалов, учебно-консультационных пунктов и групп, где учатся работники системы Минлеспрома ГССР, обеспечить их учебно-наглядными пособиями, лабораторным оборудованием, техническими средствами обучения.

2. 3. Обязать директоров вечерних и заочных школ усилить контроль за учебно-воспитательной работой и качеством знаний учащихся.

3. Контроль за выполнением настоящего постановления возложить на Управление кадров, организации труда и зарплаты Минлеспрома ГССР (т. Попхадзе Г. Т.) и Управление вечерних и заочных школ Минпроса ГССР (т. Гуджеджиани Г.) и Секретаря РК профсоюза рабочих лесной, бумажной и деревообрабатывающей промышленности ГССР (т. Салиашвижи Д. Н.).

Министр лесной и деревообрабатывающей промышленности ГССР
Т. УЧАНЕЙШВИЛИ

Министр просвещения ГССР
О. КИНКЛАДЗЕ

Председатель РК профсоюза рабочих лесной, бумажной и деревообрабатывающей промышленности
Г. ГЕЛАШВИЛИ

Приложение

Перспективный план повышения общеобразовательного уровня работающей молодежи на 1981—1985 годы

по ————————————————— от

(наименование предприятия)

Всего работников в возрасте до 30 лет	Из них не имеют полного среднего образования	Подлежит вовлечению в общеобразовательную школу	В том числе по годам					
			1981-1982 учебн. год	1982-1983 учебн. год	1983-1984 учебн. год	1984-1985 учебн. год	1985-1986 учебн. год	Всего 1981-1985 годы

Директор

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება

ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობაზე საგანგებო ყურადღება დაეთმო სასურსათო პროგრამების განხორციელებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე, პირველ რიგში, დამოკიდებულია სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საქმეში საჭიროა მოსწავლე ახალგაზრდობის ფართოდ და აქტიურად ჩაბმა.

შესანიშნავი წამოწყების ინიციატორები გახდნენ საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლისა და გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც რესპუბლიკის მეფრინველეთა სამეურნეო აქტივის მონაწილეთა მიმართვის საპასუხოდ აიღეს ვალდებულება გამოზარდონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 60 000 ფრთა წიწილა, 1500 ქათამი, 1200 კგ. ხორცი, 5000 ცალი კვერცხი. მათ მოუწოდეს რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას ფართოდ ჩაბმულიყვნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. აღნიშნულ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა რესპუბლიკის მრავალი სკოლა და სკოლისგარეშე დაწესებულება.

რესპუბლიკაში მეფრინველეობის დარგის შემდგომი განვითარების მე-11 ხუთწლედის გეგმების შესრულებისა და სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გაშლილ საერთო-სახალხო მოძრაობაში რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ჩატარდეს ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრება 1981 წლის 23-24 ოქტომბერს გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ბაზაზე.

2. დამტკიცდეს ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტი (თან ერთვის).

3. დამტკიცდეს ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების ხარჯთაღრიცხვა.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დროულად გააცნონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნორჩ მეფრინველეთა რესპუბლიკური შეკრების შინაარსი, მიზნები და ამოცანები;

ბ) გამოავლინონ და შეარჩიონ საუკეთესო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, ნორჩ ნატურალისტთა წრეები, მოსწავლეთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოო ბრიგადები, ცალკეული მოსწავლეები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივი თუ საკარმიდამო მეფრინველეობის განვითარების დარგში, ნორჩ მეფრინველეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად.

5. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორებმა:

ა) შესაძლებლობის ფარგლებში, სკოლის საცდელი ნაკვეთების ბაზაზე მოაწყონ მარტივი ტიპის საფრინველეები, უზრუნველყონ ისინი ფრინველების გამოზრდისათვის საჭირო პირობებით;

ბ) დახმარება გაუწიონ მოსწავლეებს ადგილობრივი მეფრინველეობის ფაბრიკებთან; რეპროდუქტორებთან და საინკუბატორო სადგურებთან საქმიანი კავშირის დასამყარებლად, ხელი შეუწყონ მათ საკარმიდამო მეფრინველეობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრებისათვის გამოყოს ფონდები ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის განაცხადის მიხედვით.

7. ეთხოვოს გაერთიანება „საქფრინვმრეწვს", დაეხმაროს ადგილობრივ სახალხო განათლების ორგანოებს, რათა სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გამოეყოთ ერთდღიანი წიწილები, საკვები და დახმარება გაეწიოთ ვეტსანიტარული ღონისძიებების გატარებაში.

8. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია) პერიოდულად გააშუქონ მასალები ნორჩ მეფრინველეთა საქმიანობის შესახებ.

9. დაწესდეს ნორჩ მეფრინველეთა 1-ლ რესპუბლიკურ შეკრებაში გამარჯვებულთათვის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები, სიგელები.

10. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

11. გადაწყვეტილება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სმხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, პიონერთა სახლებსა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ მეფრინველეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტი

1. ლომიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)
2. გვარჯალაძე ა. — გაერთიანება „საქფრინვმრეწვის" მმართველი
3. ყურაშვილი ბ. ქ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
4. ჯანაშვილი ა. გ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
5. ანთაძე ნ. ა. — საქართველოს ზოოვეტერინარული საინჟინრო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დოცენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი
6. წიკლაური მ. პ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
7. მდივანი მ. ლ. — გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მეფრინველობის ფაბრიკის დირექტორი
8. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
9. ღაჭავა ლ. პ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ინსპექტორი
10. შუბლაძე ვ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი (მდივანი)
11. ცაბაძე ლ. გ. — თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება

ქ. გორისა და მახარაძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტების მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. გორისა და მახარაძის რაიონის სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტები (გამგეები — ა. დიდებელი, ნ. გვარჯალაძე) მრავალმხრივ საინტერესო მუშაობას ეწევიან. ქმედით ღონისძიებებს ატარებენ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, მეთოდური მუშაობის ფორმებისა და შინაარსის სრულყოფის, პედაგოგიური კოლექტივების დახელოვნება-დაოსტატების, მოწინავე გამოცდილების განზოგადება-დანერგვის, ბავშვთა აღზრდისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კაბინეტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო მოწყობილობით, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით. სკოლამდელ მუშაკთა სამსახურში დგას პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურის უახლესი გამოცემების მოკლე ანოტაციები, ბიბლიოგრაფიული ცნობარი, მეცადინეობათა სანიმუშო გეგმა-კონსპექტები და სხვ.

კაბინეტებთან შექმნილია მეთოდური საბჭო, სადაც იხილება სკოლამდელი აღზრდის აქტუალური საკითხები, როგორიცაა „სკოლისათვის ბავშვის მომზადების ზოგიერთი საკითხი, „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომითი აღზრდის ფორმები და შინაარსი“, „ფიზიკური აღზრდის განვითარების გზები სკოლამდელ ასაკში“, „თამაში დღის I და II ნახევარში“, „აღზრდის პროგრამის მოთხოვნათა შესრულება“, „სკოლამდელ დაწესებულებათა კომპლექსური შემოწმების შედეგები“ და სხვ.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა განათლების სამინისტროსა და სხვა სადირექტივო ორგანოების ნორმატული დოკუმენტების სკოლამდელ დაწესებულებებამდე დაყვანას და პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელებას, შერჩეულია საყრდენ-საბაზო სკოლამდელი დაწესებულებები (მახარაძის №№ 1, 2, 3, ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის № 1, აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის (გამგეები — თ. თავაძე, მ. ტრაპაიძე, ნ. გოგოტიშვილი, ლ. გელაშვილი, ნ. მექვაბიშვილი), სადაც იხილება მუშაობის მოწინავე გამოცდილება, ახალი პედაგოგიკური და მხატვრული ლიტერატურა, ტარდება ღია დღეები და მეცადინეობები. 1980-81 წლებში რაიონის მასშტაბით რვაჯერ ჩატარდა ღია დღე, აქედან 4 სკოლამდელი დაწესებულების გამგეებისათვის. გაანალიზებულ და განხილულ იქნა 30 მეცადინეობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ნაყოფიერად მიმდინარეობს მეთოდგაერთიანებებისა და სექციების მუშაობა. კაბინეტებთან შექმნილია მეთოდგაერთიანება: მუდმივმოქმედ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკთათვის, ერთკომპლექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიან სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური პერსონალისათვის, საკოლმეურნეო-სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგე-აღმზრდელებისათვის. გარდა ამისა, მუშაობენ სექციები აღზრდის პროგრამის განაყოფებისა და ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

სკოლამდელ მუშაკთა დახმარებისა და პროფესიული დაოსტატების მიზნით სისტემატურად ტარდება სარაიონო, საქალაქო კონფერენციები, თათბირ-სემინარები, როგორიცაა „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მეტყველების განვითარების მეთოდები და ხერხები", „ზნეობრივი აღზრდა სკოლამდელ ასაკში", „ესთეტიკური აღზრდის ძირითადი გზები სკოლამდელ ასაკში" და სხვ.

საინტერესო მუშაობა ტარდება მშობელთა პედაგოგიზაციისათვის, ეწყობა ბავშვთა და აღმზრდელთა ნამუშევრებისა და თვითნაკეთი სათამაშოების გამოფენა. მახარაძის რაიონის სოფელ ანასეულის ბაგა-ბაღის გამგის ლ. გელაშვილის გამოცდილება მშობლებთან მუშაობის შესახებ განზოგადდა რესპუბლიკურ სამეცნიერო- პედაგოგიურ კონფერენციაზე, ხოლო ქ. გორის მე-5 საბავშვო ბაღის გამგის მ. ნადირაძისა და აღმზრდელ რ. ფუსურის მუშაობის გამოცდილება „მშობლიური ენის განვითარებისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი"—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც დაიმსახურა ფულადი პრემია და ბრინჯაოს მედალი. ქ. გორის სკოლამდელ დაწესებულებათა ყველა გამგესა და პედაგოგიურ პერსონალს გავლილი აქვს მასწავლებელთა დახელოვნების კურსები. მახარაძის რაიონის მეთოდური კაბინეტის ინიციატივით საკოლმეურნეო-სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგე-აღმზრდელებისათვის მიმდინარე წლის აპრილში, ადგილზე, სპეციალურად ჩატარდა ერთთვიანი დახელოვნების კურსები და გაეწიათ სათანადო პრაქტიკული დახმარება.

კაბინეტების მუშაობის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ, განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა, ისინი თანაბარ დახმარებას, ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ სხვა სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებს, როგორც მეთოდური დახმარების, ასევე მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის თვალსაზრისით. სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებზე ხორციელდება განათლების სისტემის სკოლამდელ დაწესებულებათა შეფობა.

კაბინეტების მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისა და დისლოკაციის საქმეში. მახარაძის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი მეათე ხუთწლედში 9 ერთეულით გაიზარდა. მეთერთმეტე ხუთწლედში ნავარაუდევია რაიონის 18 სოფლის ტერიტორიაზე აშენდეს სკოლამდელი დაწესებულებები 2130 ბავშვადგილზე. უახლოეს დროში ექსპლოატაციაში შევა 12 ჯგუფიანი ბაგა-ბაღი. მშენებლობის პროცესშია სოფელ ნატანებში 140 ადგილიანი ბაგა-ბაღი (ინდივიდუალური პროექტი). მახარაძის რაიონის **სოფელ ჯუმათის საბავშვო ბაღში ბავშვები ორგანიზებულად გადაყავთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსით, რაც საგრძნობლად ამსუბუქებს ქალთა შრომას და ზრდის მათ შრომის ნაყოფიერებას.

კაბინეტების ყურადღების ცენტრში დგას ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები.

კაბინეტების მიერ ჩატარებული მიზანდასახული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ქ. გორისა და მახარაძის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში საგრძნობლად ამაღლდა მეთოდურ-პედაგოგიური დონე, სკოლამდელ მუშაკთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება დაკისრებული საქმისადმი.

სკოლამდელი აღზრდის მეთოდური სამსახურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— გულდასმით განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება და, აქედან გამომდინარე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მეთოდური მუშაობის ფორმებისა და შინაარსის შემდგომი სრულყოფისათვის;

— პერიოდულად შეისწავლონ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტების, მეთოდისტების მუშაობა და შედეგები სისტემატურად განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ განათლების განყოფილებათა გამგეებს;

— სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტების გამგეები და მეთოდისტები განტვირთონ ისეთი დავალებებისაგან, რაც მათი უშუალო მოვალეობიდან არ გამომდინარეობს;

— აღკვეთონ სკოლამდელ დაწესებულებებში არასპეციალისტების შერჩევა-დანიშვნა, რაშიც აქტიურად ჩააბან სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტების გამგეები და ინსპექტორ-მეთოდისტები;

— განუხრელად განახორციელონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის დადგენილების (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 18 თებერვლის № 109 ბრძანება) მოთხოვნები, სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოუჩინონ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებას, უზრუნველყონ ისინი პედაგოგიური კადრებით, თვალსაჩინოებითა და მეთოდიკური ლიტერატურით;

— რადიკალური ღონისძიებები განახორციელონ ბავშვთა კონტინგენტისა და დღეების შესასრულებელად, მინიმუმამდე დაიყვანონ ბავშვთა დაავადებისა და უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები;

— მკაცრი კონტროლი დააწესონ ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობაზე და მიიღონ გადამჭრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ზომები მათ დროულად და ხარისხიანად დასამთავრებლად.

2. რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონო, საქალაქო სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტების გამგებმა, ინსპექტორ-მეთოდისტებმა მუშაობა წარმართონ სკკპ 26-ე ყრილობისა და საქართველოს კპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად:

— აამაღლონ პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა დაკისრებული მოვალეობისადმი, აღმოფხვრან ზერელობა და ფორმალიზმი მუშაობაში. დაამყარონ სრული წესრიგი სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობაში, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, გააუმჯობესონ ბავშვთა კვების ორგანიზაცია და საყოფაცხოვრებო პირობები;

— უფრო მიზნობრივი, ეფექტური და შედეგიანი გახადონ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა;

— მიიღონ ყველა ზომა განათლების სამინისტროსა და სხვა სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა და ნორმატული დოკუმენტების თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებამდე დასაყვანად (განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა) და პრაქტიკულ საქმიანობაში განსახორციელებელად;

— სკოლამდელი აღზრდის კაბინეტებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნან მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდები და ჩააყენონ ისინი პრაქტიკოს მუშაკთა სამსახურში.

4. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან (ამხ. ნ. მჭედლიძე) ერთად ქმედითი დახმარება გაუწიოს სკოლამდელი აღზრდის კაბინეტების გამგეებსა და მეთოდისტებს მუშაობის შემდგომი სრულყოფის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაოსტატების საქმეში.

5. სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე სკოლამდელი აღზრდის კაბინეტების გამგეებისა და ინსპექტორ-მეთოდისტების მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და დახმარების მიზნით ჩაატაროს რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილ

„სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ებ

სოფლის მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) და ამ საქმეში გამოვლინებული ნაკლოვნებების აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

კ ო ლ ე გ ი ა მ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების განათლების განყოფილებებმა კვლავაც განუხრელად იხელმძღვანელონ „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 სექტემბრის დადგენილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების შესაბამისი ბრძანებებით და უზრუნველყონ მათი შესრულება.

1. 1. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეისწავლონ და განათლების საბჭოს მსჯელობის საგნად გახადონ სოფლის სკოლის მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და თანმიმდევრულად იზრუნონ მათი განხორციელებისათვის.

1. 2. სათანადო ყურადღება დაუთმონ სოფლად ახალგაზრდა სპეციალისტთა მორალური სტიმულირების, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებასა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

1. 3. მკაცრი კონტროლი დააწესონ სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების დაცვაზე. პერიოდულად შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს; მათი დახმარებით მიაღწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების ფართო მონაწილეობას სოფლის მასწავლებელთათვის მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 4. ასპინძის, ახმეტის, ადიგენის, ამბროლაურის, ბორჯომის, ყაზბეგის, ქარელის, ლენტეხის, ონის, სიღნაღის, თეთრიწყაროსა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა ღროულად და შეუფერხებლად აღძრან შუამდგომლობა სასოფლო საბჭოების წინაშე მასწავლებელთა მიერ სახელმწიფო ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის.

2. ეთხოვოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის აწარმოონ კვების პროდუქტების სახელმწიფო ფასებში მიყიდვა და მისცენ მათ ზოგიერთი დეფიციტური სამრეწველო საქონლის შეძენის შესაძლებლობა.

3. ეთხოვოს ზუგდიდის, ლაგოდეხის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, წალენჯიხის, წითელწყაროს, ცხაკაიისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— დაავალონ შესაბამისი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1982 წლისთვის დაიწყონ და ამავე წლის ბოლომდე ექსპლუატაციაში გადასცენ მათ მიერ საინიციატივო წესით 1980 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული 1000 კვ. მეტრი ფართობის 12 ორბინიანი მასწავლებელთა სახლის მშენებლობა ზემომითითებულ რაიონებში.

4. ეთხოვოს ამბროლაურის, ასპინძის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, გეგეჭკორის, დუშეთის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ორჯონიკიძის, თელავის, თეთრიწყაროს, თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

4. 1. კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ზემომითითებული რაიონების მასწავლებელთათვის ყოველწლიურად გამოყონ საჭირო თანხა მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

4. 2. სისტემატურად უზრუნველყონ მოცემული რაიონების მასწავლებლები კუთვნილი საწვავით, მისი ბინაზე მიტანით.

5. ეთხოვოს თერჯოლის, მაიაკოვსკის, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— დაამტკიცონ 1981-82 სასწავლო წლისათვის ამ რაიონების მასწავლებელთათვის მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული განათლებისა და გათბობის ნორმები.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1943 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

7. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-49864

ცნობა

„სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად სოფლის სკოლების მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 სექტემბრის დადგენილების განუხრელად შესრულებისა და სოფლის მასწავლებელთათვის მუშაობისა და ცხოვრების სათანადო პირობების შექმნის მიზნით რესპუბლიკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები.

საგრძნობლად იმატა საკუთარ და კომუნალურ ბინებში მცხოვრებ სოფლის მასწავლებელთა რიცხვმა. მაგალითად: 1978 წელს ზემოაღნიშნულ ბინებში ცხოვრობდა 387691 მასწავლებელი, 1979 წელს კი — 43.818 ანუ 5.127-ით მეტი, ხოლო 1980 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 44.854-მდე ანუ 1.036-ით (დანართი № 1).

ყოველწლიურად კლებულობს დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვი: თუ მეათე ხუთწლედის პირველ სამი წლის განმავლობაში დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდა 5.205 ახალგაზრდა სპეციალისტი, ხოლო 1979 წელს — 894, 1980 წელს ეს რიცხვი შეადგენდა 823-ს ანუ 71-ით ნაკლებს.

გაუმჯობესდა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით მასწავლებელთა სახლების მშენებლობა ამბროლაურის, ჩოხატაურის, ბოგდანოვკისა და კასპის რაიონებში. მაგალითად ამბროლაურის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 50 კვ. მეტრი ფართობის ერთი ორბინიანი მასწავლებელთა სახლის მშენებლობის ნაცვლად 1980 წელს აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა ორი ორბინიანი 120 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლი. კასპის რაიონში კი 70 კვ. მეტრი ფართობის ერთი ორბინიანი მასწავლებელთა სახლის ნაცვლად აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა სამი 210 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლი. ანალოგიური მდგომარეობაა ბოგდანოვკისა და ჩოხატაურის რაიონებში. ამჟამად მშენებლობა (იმავე სახსრებით) მიმდინარეობს და 1981 წლის ბოლოსათვის ექსპლოატაციაში გადაეცემა 2035 კვ. მეტრი ფართობის 48 ორბინიანი მასწავლებელთა სახლები რესპუბლიკის 22 რაიონში (გაგრა, სოხუმი, ქუდა, აბაშა, ასპინძა, ახალ-

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე, ბოგდანოვკა, ბორჯომი, გურჯაანი, დუშეთი, კასპი, ყვარელი, ყაზ-ბეგი, ლანჩხუთი, ლენტეხი, მესტია, თეთრიწყარო, ხობი, წალენჯიხა, ცაგერი, ჩხოროწყუ და ჩოხატაური).

თუ მეათე ხუთწლედში სახელმწიფო კაპდაბანდების სახსრებით აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 5.718 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლები, მეთერთმეტე ხუთწლედში იმავე სახსრებით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში დაგეგმილია 7.890 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლების მშენებლობა (დანართი № 2).

გასულ წელთან შედარებით დამაკმაყოფილებლად წარმოებს ინდივიდუალური მეურნეობის მოსაწყობად მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა გეგეჭკორის, ზესტაფონის, მცხეთის, ორჯონიკიძის, ხაშურისა და სხვა რაიონებში.

გაუმჯობესდა სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურება. თუ 1979 წელს ამ მიზნით გაღებული ხარჯები 1974 წელთან შედარებით 317,3 ათასი მანეთით, ანუ 16,4%-ით გაიზარდა, 1980 წელს, იმავე წელთან შედარებით ეს თანხა 316,3 ათასი მანეთით, ანუ 19,3%-ით გაიზარდა (დანართი № 3).

დამაკმაყოფილებელია სოფლის მასწავლებელთა სამედიცინო, საკურორტო-სანატორიული მომსახურება. სახელმწიფო მათთვის ყოველწლიურად გამოყოფს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების 2.500-ზე მეტ საგზურს. მაგალითად: 1978 წელს ამ საგზურებით ისარგებლა 2.500-მა სოფლის მასწავლებელმა, 1979 წელს კი 2583-მა, ხოლო 1980 წელს — 2589-მ.

სათანადო ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, განათლების სისტემაში მომუშავე დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და, განსაკუთრებით, ინვალიდთა კომუნალური მომსახურებისა და მათთვის დაწესებული შეღავათების საქმეს. კანონით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობენ, აგრეთვე, ის მასწავლებლებიც, რომლებიც ცოდნას უმაღლეს სასწავლებლებში იმაღლებენ წარმოებიდან მოუწყვეტლივ.

ამასთან ერთად, სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მეათე ხუთწლედში გეგმით გათვალისწინებული 71,2 ათასი კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობის ნაცვლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოყოფილი იყო 31,5 ათასი კვ. მეტრი ფართობის ლიმიტი, რის გამოც 1980 წელს ვანის, ორჯონიკიძის, წალენჯიხისა და ჩოხატაურის რაიონებში დაგეგმილი 585 კვ. მეტრი ფართობის 8 ორბინიანი მასწავლებელთა სახლიდან. 1980 წელს არც ერთი არ აშენებულა, ხოლო ახალციხის რაიონში 140 კვ. მეტრი ფართობის ორი ორბინიანი მასწავლებელთა სახლის ნაცვლად აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 70 კვ. მეტრი ფართობის ერთი მასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელთა სახლი. ანალოგიური მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონში, სადაც 100 კვ. მეტრი ფართობის ორი მასწავლებელთა სახლის ნაცვლად აშენდა და ექსპლოატაციაში ჩაბარდა 50 კვ. მეტრი ფართობის მხოლოდ ერთი მასწავლებელთა სახლი. 1980 წელს სახელმწიფო კაპდაბანდების სახსრებით სოფლის მასწავლებელთათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 2.460 კვ. მეტრი ფართობის 23 ორბინიანი მასწავლებელთა სახლის მშენებლობა. სამშენებლო ორგანიზაციების დაუდევრობის გამო აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა მხოლოდ 1800 კვ. მეტრი ფართობის 15 ორბინიანი მასწავლებელთა სახლი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საინიციატივო წესით 1980 წლისათვის ზუგდიდის, ლაგოდეხის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, წალენჯიხის, წითელწყაროს, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაგეგმილი ქონდათ 1000 კვ. მეტრი ფართობის 12 ორბინიანი მასწავლებელთა სახლის მშენებლობა, მაგრამ არც ერთი არ აშენებულა.

კვლავ დიდია დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ მასწავლებელთა რიცხვი. მაგალითად, გასულ წელთან შედარებით უარესი მდგომარეობაა ბორჯომის რაიონში, სადაც 253 მასწავლებლიდან 50 ანუ 19,7% დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს, კასპის რაიონში 894 მასწავლებლიდან — 258, ანუ 23,8%. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ჭიათურის, ახალციხის, დუშეთის, დმანისის, წალკის, წალენჯიხისა და ხობის რაიონებში.

მასწავლებელთა სახლების მშენებლობას საჭიროებენ ასპინძის (სოფლები ნაქალაქევი, ჭობარეთი და აწყვიტა), ახალქალაქის (სოფელი ადეში), ადიგენის (სოფლები კახათი, ფხერო და ზანავი), დუშეთის (დაბა ფასანაური), დმანისის (სოფლები ზედა ყარაბულახი, მამიშლო და საჭა), ზესტაფონის (სოფლები ქვედა საზანო, ბოსლევი, ძირულა), ლანჩხუთის (სოფლები ნიგვზიანი, ათანა, შუხუთი), ორჯონიკიძის (სოფელი ხევი), სიღნაღის (სოფლები ბოდბისხევი, ძველი ანაგა) და წალკის (სოფლები ჩოლიანი, გუნია, კალა, თეჯისი, ტ-კილისა, გუმბათი, ჩკილისა) რაიონები, ხოლო ინდივიდუალური სახლების მშენებლობას რესპუბლიკის 353 მასწავლებელი, მათ შორის 124 ახალგაზრდა სპეციალისტი.

საცხოვრებლად უვარგისია და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს მასწავლებელთა სახლები დუშეთისა და ზუგდიდის რაიონებში.

ცუდად წარმოებს მასწავლებელთათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობისა და რემონტის ჩატარებისათვის სასოფლო საბჭოების მიერ საშენი მასალების გამოყოფა ვანის, დმანისის, ლაგოდეხის, ორჯონიკიძისა და წითელწყაროს რაიონებში.

თანხის უქონლობის გამო 1980 წელს სახელმწიფო ბანკის კრედიტით კვლავ ვერ ისარგებლეს ასპინძის, ახმეტის, ადიგენის, ამბროლაურის, ბორჯომის, ყაზბეგის, ქარელის, ლანჩხუთის, ლენტეხის, ონის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის, თეთრიწყაროსა და წითელწყაროს რაიონების სკოლების მასწავლებლებმა, ხოლო ლაგოდეხის რაიონში რაისაბჭოს აღმასკომმა სასოფლო საბჭოებს მცირე რაოდენობით გაუნაწილა გრძელვადიანი სესხის ლიმიტი. სახელმწიფო ბანკის კრედიტით 1980 წელს მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა ისარგებლა, მაშინ როდესაც მსურველი 26 იყო, მათ შორის 4 ახალგაზრდა სპეციალისტი. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ქონდა ლანჩხუთის რაიონში, სადაც 4 მასწავლებლიდან კრედიტით ვერც ერთმა ვერ ისარგებლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რიგი რაიონების (ამბროლაური, ასპინძა, ახალციხე, ბოგდანოვკა, ბოლნისი, ბორჯომი, ვანი, გარდაბანი, გეგეჭკორი, დუშეთი, ზესტაფონი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარაკოვსკი, მცხეთა, ორჯონიკიძე, თელავი, თეთრიწყარო, თიანეთი) მასწავლებელთა უმრავლესობა არ მარაგდება სათბობით, ხოლო სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ კომუნალური მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, გარდაბნის, თელავისა და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა საკითხი ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ რამდენჯერმე დააყენეს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომების წინაშე, მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საკითხი ზემოაღნიშნულ რაიონებში დღემდე მოუგვარებელია. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის სასოფლო საბჭოები თითოეულ ოჯახზე გამოყოფენ მხოლოდ 800—1000 კგ. ქვანახშირს, რაც მათ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ რაიონის ზამთრის ხანგრძლივობას და მკაცრ კლიმატურ პირობებს, ნახევარ სეზონამდეც კი არ ყოფნით. ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემო ქოშაკლისის, იმირასანისა და აბდალოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა ნაწილი 1981 წლის 1 იანვრისათვისაც კი არ იყო უზრუნველყოფილი საწვავით და აღნიშნული მდგომარეობა მხოლოდ ზემდგომი ორგანოს ჩარევის შედეგად გამოსწორდა. ტრანსპორტის უქონლობის გამო დუშეთის, თიანეთისა და ორჯონიკიძის რაიონების სასოფლო საბჭოები დაგვიანებით ამარაგებენ საწვავით მასწავლებლებს ზოგ შემთხვევაში კი ფულით უნაზღაურებენ საფასურს, რაც ხშირად ვერ ფარავს საწვავის ღირებულებას. ამავე მიზეზების გამო ასპინძის, მცხეთისა და ვანის რაიონების მასწავლებლებმა საკუთარი ხარჯებით მიზიდეს შეშა ზამთრისათვის.

თერჯოლის, მაიაკოვსკის, საგარეჯოსა და გურჯაანის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ჯერ კიდევ მოგვარებული არა აქვთ მთავრობის მიერ დადგენილი გათბობისა და განათების ნორმები.

კვლავ საგრძნობი სიძნელეებია მასწავლებელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ აწარმოებენ სახელმწიფო ფასებში მათ მიყიდვას. უფრო მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიც, დუშეთის, ხულოსა და შუახევის რაიონების ზოგიერთ სოფელში ადგილზე კვლავ არ ცხვება პური, ხოლო მისი შეტანა სხვა სოფლებიდან ხშირად ფერხდება. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონების პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფის საქმეშიც.

არასათანადო დონეზეა ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხენთაროს, რკვიის, პირველი სვირის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მასწავლებელთა სამედიცინო მომსახურება.

რესპუბლიკის ზოგი რაიონის განათლების განყოფილება ნაკლებად ზრუნავს ჩამოსულ მასწავლებელთათვის მიწის ნაკვეთების, სათიბებისა და საძოვრების გამოყოფაზე, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, ამიტომ ხშირია ამ საკითხებზე საჩივრები ზემდგომ პარტიულ საბჭოთა ორგანოებში. მაგალითად, დმანისის რაიონის სოფელ ზემო ორზუმანის საშუალო სკოლის მასწავლებელს ს. დ. პიპიევს მიწისძვრის შედეგად დაენგრა სახლი. ვინაიდან მას ყურადღება არ მიაქციეს, იძულებული შეიქნა მეულლესა და მცირეწლოვან შვილებთან ერთად გადასულიყო ნაქირავებ ბინაში და ყოველთვიურად ქირის სახით 25 მანეთი ეხადა.

დმანისის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა მხოლოდ განათლების სამინისტროს ჩარევის შემდეგ გამოუყო მას მიწის ნაკვეთი ბინის მშენებლობისათვის და ბინა დროებითი სარგებლობისათვის. ამავე რაიონის სოფელ დუნუსის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლებს, რომლებსაც 1980-81 სასწავლო წელს თვეების განმავლობაში არ ეძლეოდათ კომუნალური მომსახურების კუთვნილი თანხა, ისევ მხოლოდ განათლების სამინისტროს უშუალო ჩარევის შემდეგ გამოეყოთ ყოველთვიურად 10-10 მანეთი.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ განათლების განყოფილებები და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები სათანადო ზომებს არ ღებულობენ „სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, კადრების სამმართველოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ცნობა განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებასთან ერთად გადაეგზავნოს რესპუბლიკის რაიონების განათლების განყოფილებებს და შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს სათანათო რეაგირებისათვის.

კადრების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

ცნობები

საკუთარ ბინებში მცხოვრებ სოფლის მასწავლებელთა შესახებ

1976 წელს — 19.811 მასწავლებელი
1977 წელს — 22.963 მასწავლებელი
1978 წელს — 38.691 მასწავლებელი
1979 წელს — 43.818 მასწავლებელი
1980 წელს — 44.854 მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

ცნობები

სოფლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების 1976—1980 წლებში ექსპლოატაციაში შეყვანის შესახებ სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით

1. 1976 წელს — 420 კვ. მ.
2. 1977 წელს — 280 კვ. მ.
3. 1978 წელს — 1.100 კვ. მ.
4. 1979 წელს — 2.118 კვ. მ.
5. 1980 წელს — 1.800 კვ. მ.

———————————

1976—1980 წ.წ. — 5.718 კვ. მ.

მეთერთმეტე ხუთწლედში იმავე სახსრებით გათვალისწინებულია 7. 890 კვ. მეტრი ფართობის მასწავლებელთა სახლების მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

ცნობები

სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურებისა და მასზე გაღებული ხარჯების შესახებ

1974 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 1806,7 ათასი მანეთი, შესრულდა 1745,7 ათასი მანეთი (96,6%)

1975 წელს „ 1882 ათასი მანეთი, შესრულდა 2000 ათ. მანეთი (94,1%)

1976 წელს „ 1866,4 ათასი მანეთი, შესრულდა 1997 ათ. მანეთი (93,5%)

1977 წელს „ 1920,3 ათასი მანეთი, შესრულდა 1972,2 ათ. მანეთი (102,1%)

1978 წელს „ 1991,4 ათასი მანეთი, შესრულდა 2032,8 ათ. მანეთი (102,1%)

1979 წელს „ 2017,6 ათასი მანეთი, შესრულდა 2068 ათ. მანეთი (102,1%)

1980 წელს „ 2225 ათასი მანეთი, შესრულდა 2107 ათ. მანეთი (94,7%)

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1981 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება

ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდა ორგანიზებულად, მაღალ დონეზე. მან გამოავლინა არქიტექტურის საკითხებით დაინტერესებული მრავალი მოსწავლე და სკოლა.

კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრისა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მიერ ჩატარებულმა ერთობლივმა ღონისძიებებმა. კერძოდ:

— ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გაიხსნა ნორჩ არქიტექტორთა სკოლა;

— თბილისში, სოხუმში, ქუთაისში ჩამოყალიბდა ნორჩ არქიტექტორთა გრაფიკისა და კომპოზიციის საწყისების შემწსავლელი წრეები;

— შედგენილ იქნა ნორჩ არქიტექტორთა გრაფიკისა და კომპოზიციის საწყისების შემსწავლელი წრის პროგრამა პროფ. ი. ციციშვილისა და დოც. ნ. თევზაძის მიერ;

— ზონის ცენტრებში ჩატარდა თათბირ-სემინარები საორგანიზაციო საკითხებზე.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 8 რაიონის და ქალაქის 26 სკოლის 15 მოსწავლემ, ორივე მოცემულობა შეასრულა 35 მოსწავლემ.

მაღალ დონეზე შეასრულა ორივე მოცემულობა სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ნოდარ ჯობავამ, ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ირაკლი რეხვიაშვილმა და თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ მაკა გოცირიძემ.

შინაარსობრივად და კომპოზიციურად მდიდარი გამოფენა მოეწყო ქალაქ ჭიათურაში. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა თბილისისა და ქუთაისის ნორჩ არქიტექტორთა მიერ წარმოდგენილმა საგამოფენო ნამუშევრებმა.

კონკურსის ნაკლად ჩაითვლება მონაწილეთა მცირე რაოდენობა. ზონების საორგანიზაციო კომიტეტებმა სათანადო მუშაობა ვერ გასწიეს იმისათვის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა დაეინტერესებინათ ქართული არქიტექტურითა და მისი საწყისების შესწავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთესოდ შესურლებული საგამოფენო ნახაზების ,მაკეტებისა და საკონკურსო მოცემულობის მაღალხარისხოვნად ამოხსნისათვის დაჯილდოვდეს:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით 10 მოსწავლე

II ხარისხის დიპლომით 8 მოსწავლე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით 9 მოსწავლე (დანართი № 1).

2. ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკურ კონკურსში მოსწავლეთა აქტიური ჩაბმისათვის და მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით 2 ხაზვის მასწავლებელი, 2 არქიტექტორი და 8 სკოლა (დანართი № 2).

3. 1981 წლის სექტემბრიდან 1982 წლის მაისამდე ჩატარდეს ნორჩ არქიტექტორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი მე-8—9—10 კლასებისათვის 2 ტურად.

4. I დასწრებული ტური ჩატარდეს 1982 წლის 14 მარტს ზონებში.

5. II დაუსწრებელი ტური ჩატარდეს და საგამოფენო ნახაზების წარმოდგენა-შემოწმება მოხდეს 1982 წლის 25 აპრილს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ თბილისში, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

6. კონკურსში გამარჯვებულთა შეკრება-გამოფენა, შემაჯამებელი სხდომა მოეწყოს 1982 წლის 15—16 მაისს ქ. ცხაკაიაში.

7. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური კომიტეტი, კონკურსის ჟიური, საკონკურსო მოცემულობის შემდგენელი კომისია და სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა (დანართი № 3).

8. დამტკიცდეს კონკურსის ჩატარებისათვის ხარჯთაღრიცხვა.

9. ეთხოვოს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრას, პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს ნორჩ არქიტექტორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის მომზადება-ჩატარებაში.

10. დაევალოს რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და სასახლეების დირექტორებს ჩამოაყალიბონ არქიტექტორთა გრაფიკისა და კომპოზიციის საწყისების შემსწავლელი წრეები.

11. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა გაატარონ საჭირო ღონისძიებები კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ფართოდ ჩააბან ამ საქმეში სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები.

12. კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე პერიოდულად იქნას მოსმენილი ნორჩ არქიტექტორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხები და დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის.

13. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) განათლების განყოფილებებსა და ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს სახაზავი ქაღალდი მე-3 რესპუბლიკური კონკურსის საჭიროებისათვის.

14. გაზეთებმა „სახალხო განათლებამ", „ახალგაზრდა კომუნისტმა", „ნორჩმა ლენინელმა" პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ნორჩ არქიტექტორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადებისა და მიმდინარეობის შესახებ.

15. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. გ. ბუკია).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინჭლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. ორჯონიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ! ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული მოსწავლეები:

1. ტატიშვილი ზაზა მიხეილის ძე — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე
2. გოცირიძე მაკა ჯუმბერის ასული — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
3. ცინცაძე არჩილ ილიას ძე — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
4. ბაბაშვილი ზეიკო დემურის ასული — თბილისის 162-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
5. ჯობავა ნოდარ ილიას ძე — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე
6. შინიცი რობერტ ილიას ძე — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე
7. აშუბა ბესლან ილიას ძე — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე
8. ლეონაძე დავით იუსტინეს ძე — ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე
9. რეხვიაშვილი ირაკლი ილიას ძე — ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლე
10. ხუციშვილი ზურაბ კონსტანტინეს ძე — გორის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლე

ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკურ კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები და სკოლები:

1. ვაშაკიძე მაყვალა — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
2. კოვგანი დიანა — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
3. თოდაძე გივი — ქუთაისის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე
4. ჯაფარიძე მარინა — არქიტექტორი, ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მასწავლებელი

სკოლები:

თბილისის — 24-ე, 47-ე, 162-ე
ქუთაისის — მე-11, მე-13
სოხუმის — მე-10
თელავის — მე-7
გორის — მე-6

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

ნორჩ არქიტექტორთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის
საორგანიზაციო კომიტეტი

1. ლომიძე ზურაბ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე
2. წიკლაური მერი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. ბუკია გოდერძი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
4. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე)
5. გაგნიძე კარლო — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე
6. ციციშვილი ირაკლი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგე, პროფესორი
7. მგალობლიშვილი ნოდარ — საქართველოს არქიეტქოტრთა კავშირის თავმჯდომარე
8. ბათიაშვილი გიგა — დოცენტი
9. ლორთქიფანიძე მიხეილ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის შესავლის კათედრის გამგე, პროფესორი
10. სუმბაძე ლონგო — თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის გამგე, პროფესორი
11. გეგელია გიული — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტი
12. თოდაძე გივი — ქუთაისის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე
13. გიორგაძე ვლადიმერ — არქიტექტორი
14. კალაძე ვახტანგ — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების გამგე
15. მაჭავარიანი დიმიტრი — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
16. გიორგაძე ქეთევან — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდისტი
17. ბოჭორიძე მანანა — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ტექნიკის სექტორის გამგე (მდივანი)

კონკურსის ჟიური:

1. ციციშვილი ირაკლი — პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ლორთქიფანიძე მიხეილ — პროფესორი
3. თევზაძე ნანული — დოცენტი
4. ბათიაშვილი გიგა — დოცენტი
5. გეგელია გიული — არქიტექტორი

სარედაქციო საბჭო:

1. ბათიაშვილი გიგა — დოცენტი
2. თევზაძე ნანული — დოცენტი
3. გიორგაძე ვლადიმერ — არქიტექტორი
4. ვაშაკიძე მაყვალა — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი
5. მაჭავარიანი დიმიტრი — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

საკონკურსო მოცულობების შემდგენელი კომისია:

1. ლორთქიფანიძე მიხეილ — პროფესორი
2. ბათიაშვილი გიგა — დოცენტი
3. თევზაძე ნანული — დოცენტი
4. გეგელია გიული — დოცენტი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1981 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება

ნორჩ მხაზველთა მე-19 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-20 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ მხაზველთა მე-19 რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა.

ნორჩ მხაზველთა შეკრების მაღალი შემოქმედებითი დონე განაპირობა ზონებში კონკურსის მონაწილეებისადმი მოთხოვნილების ამაღლებამ, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მაღალმა დონემ. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების საგრძნობი ნაწილი (ნახაზები, მოდელები) აშკარად მოწმობს, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პიონერთა სახლებსა და საახლეებში, სკოლებში კლასგარეშე შემოქმედებითი მუშაობა მაღალ დონეზე წარმოებს. საგალდებულო საგამოფენო მოთხოვნებთან ერთად ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის მონაწილეებს ევალებოდათ წარმოედგინათ თავიანთი ქალაქის, სოფლის, საწარმოს, კოლმეურნეობის, ხუთწლედის გმირების მიერ მიღწეული წარმატებების ამსახველი დიაგრამები.

მაღალ დონეზე შესრულებული დიაგრამები წარმოადგინეს დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებმა: ნ. ნათელაშვილმა და თ. ვარსიმაშვილმა, ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ზ. პაპიკიანმა და რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ი. ვეტრინსკიმ. მოწონება დაიმსახურა თბილისის 127-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის ალექსანდრე გელაშვილის მიერ დამზადებულმა ავტომანქანის მოდელმა.

ყურადღებას იქცევს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წრის ნამუშევრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის, ქუთაისის, გორის, ცხაკაიას ზონის სკოლების მოსწავლეთა საინტერესო ნახაზები.

ნორჩ მხაზველთა მე-19 რესპუბლიკური შეკრების ჩატარებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები: თათბირ-სემინარები ხაზვის მასწავლებლებისათვის, რომელიც ჩატარდა სიღნაღში, დუშეთში, თბილისში, I და II ტურის ნამუშევართა განხილვა, III ტურის საგამოფენო ნამუშევრების (ნახაზების, მოდელების) შემოწმება, რეცენზირება. შეკრების ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, განათლების განყოფილებების მუშაკებმა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 71 რაიონის 360 სკოლის 3020 მოსწავლემ, რომელთაგან შეკრების მონაწილის უფლება მოიპოვა 92 მოსწავლემ.

